23/04/2025

სსკგ-ისს თავმჯდომარე მწუხარებას გამოთქვამს რომის პაპ ფრანცისკეს გარდაცვალების გამო

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ სამძიმარი გამოუცხადა რომის კათოლიკური ეკლესიის კამერლენგოს, კარდინალ კევინ ფარელს პაპ ფრანცისკეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ!

ღრმა მწუხარებით მივიღე ცნობა მისი უწმინდესობის, პაპ ფრანცისკეს გარდაცვალების შესახებ.

რომის პაპმა ახალგაზრდობიდანვე აირჩია ღვთის ეკლესიის მსახურების გზა, პაპი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ღატაკებზე და მიუსაფრებზე ზრუნვას. სურდა რა ყოფილიყო ნიმუში მორწმუნეთ სიტყვით, ქცევით, სიყვარულით, სულით, რწმენით, სიწმიდით (1 ტიმ. 4:12), გამოირჩეოდა პიროვნული მოკრძალებით, სიკეთით, კაცთმოყვარეობით.

მის სახელს უკავშირდება რომის კათოლიკურ ეკლესიასა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობების განვითარება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2016 წლის 12 თებერვლის შეხვედრა ჰავანაში რომის

პაპ ფრანცისკესა და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს შორის.

ქრისტიანობის ბედზე პასუხისმგებლობის გრძნობით, პაპი აცნობიერებდა დიალოგის შენარჩუნების მნიშვნელობას და რწმენის ერთობლივი დამოწმების აუცილებლობას სეკურალური სამყაროს წინაშე. ის გულწრფელად ცდილობდა საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშეწყობას, და ამას ემსახურებოდა მისი დაბალანსებული პოზიცია, რომელიც გამორიცხავდა ყოველგვარ მიკერძოებას.

მე მომეცა შესაძლებლობა კარგი ნაცნობობა მქონოდა მის უწმინდესობასთან და ხშირად შევხვედროდი მას. იგი ყოველთვის ძალიან ყურადღებიანი იყო ჩვენი ეკლესიის მიმართ, გულთან ახლოს მიჰქონდა მისი სატკივარი და, შეძლებისდაგვარად, ცდილობდა გაეთვალისწინებინა მისი პოზიცია საეკლესიო და საერთაშორისო ურთიერთობების მრავალი საკითხზე საპასუხოდ.

რომის პაპი ფრანცისკე გარდაიცვალა ბრწყინვალე შვიდეულში, როდესაც ჩვენ ვზეიმობთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს აღდგომას – რომელსაც განსვენებულმა მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება. დაე, მაცხოვარმა განუსვენოს მიცვალებულის სული თავის ზეციურ სავანეებში და უბოძოს მას მარადიული ხსოვნა!

ღრმა მწუხარებით,

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო

კავშირების განყოფილების თავმჯდომარე,

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი

mospat.ru